# სახალხო გაზეთი

№ 171 სამშაბათი, 30 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 171

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул. N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. 50—57—48

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 29.

სამშაბათს, 30 ნოემბერს, 1910 წელს,

საღამო-მეჯლისი

ნიკ. ალ. ტარსაიძის გამგეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ლიტერატურული ჩუქურთმა

I

წარსული და ყოფილი

დრამატიული სანახაობა 2 მოქმედებად, ვინ-განისა.

სიმღერა, ცეკვა-თამაში, ჭიდაობა, მუსიკა, ქეიფი და ქალთა და ვაჟთა ხორო, მოცეკვავენი და მოჭიდავენი.

II

ლ ა მ ე

დრამატ. 1 მოქმედებად გ. ხვოსტოვისა, თარგ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: დავითაშვილი, ვიქტორილი, კარგარეთელი, ლექავა, ლოლუა, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნ-ი: აბაშიძე, გუნია, გვარამე, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ყიფიძე, საფაროვი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა იმყოფებოდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „ორი ვნება“, „ქალის ჭკუა“, ნორჩი თაობა“, მსხვერპლი და სხვ.

მოითხოვეთ ბუნებრივი

კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—15)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერცხლის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირბდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—338)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გამყრელიძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. შოთნდი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—501)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლონსკი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

სარაპ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოხსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.

პონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათიშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—6.—26)

ექიმი ბ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო ავებულოვათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—19)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—94)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—25)

ექიმი რ. დ. მაჟავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—43

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ე. ი. მინასიანცი ხწამლობს შინაგან, ბავშვთა და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—35)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—274

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ამხ. „სხრაპანი“ უკვე შეუდგა ი. გრიშაშვილის ლექსების ბეჭდვას, პატარ-პატარა წიგნაკებად.

—პირველი წიგნი—

„ოცნების კოცნა“

გამოვა დეკემბრის პირველ რიცხვებს. თვითეული წიგნი შეიცავს 32 გვ. და ეღირება 10 კაპ. (4—4)


## ტფილისი, 30 ნოემბერი

**ქართული სამეურნეო საზოგადოება.** განვლილ ზაფხულს ჩვენი ქვეყნის სასოფლო მეურნეობის ჭირისუფალთა წრეში დაიბადა აზრი „ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ დაარსებისა. ვიწრო წრეებში აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ამ საგანზე ადგილობრივი პრესსაც ახმაურდა; ინიციატორებს მოწინააღმდეგენი გამოეკამათნენ და საგაზეთო პოლემიკა გაიმართა. როგორც ყოველთვის, აქაც, ცოტა ხნის შემდეგ, საგაზეთო პოლემიკა ისე მიყუჩდა, რომ მოპირდაპირეებმა ერთმანეთი ვერ დაარწმუნეს. ამის-და მიუხედავად, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, საქმის ინიციატორები თავის განზრახვას ნაადრევად არ დაჰკნობდნენ და მალე პრაქტიკულად მოაწყობდნენ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას.

მას შემდეგ კვირა-კვირაზე გადის, თვე-თვეზე და ზემოხსენებულ საზოგადოებისა კი არაფერი არ ისმის; იგი თითქოს უფრო ადრე მოკვდა, ვიდრე დაიბადებოდა. განზრახვა კი მეტად საყურადღებო იყო და დიდი სარგებლობაც შეეძლო მოეტანა ჩვენის დაქვეითებულის მეურნეობისთვის. როგორც მკითხველმა იცის, შარშან ზაფხულს კახეთის რამდენსამე სოფელში ფილოქსერა აღმოაჩინეს; წარსულ ზაფხულშივე დაიწყო საქართველოს სოფლებში ფეხის მოკიდება წვრილ კრედიტის ამხანაგობამ; წარსულ წელს ერთმა კერძო პირმა საკუთარის ძალღონით მოჰკიდა ხელი ქართულ ენაზე სასოფლო სამეურნეო ჟურნალის გამოცემას, რომელიც დღესაც გამოდის. ყველა ეს და მრავალი სხვა ფაქტი გვარწმუნებს, რომ ქართულ სამეურნეო საზოგადოებას საკმაოდ ფართო სამოქმედო ასპარეზი ექნებოდა და ნაყოფიერიც იქნებოდა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გვარ საზოგადოების დაარსება არასოდეს დაგვიანებული არ იქნება. პირიქით, რაც ხანი გადის, მით უფრო ნათლად ირკვევა, რომ ეკონომიური საჭიროება მოითხოვს, ჩვენის სოფლის ტრადიციული მეურნეობა რაციონალურის მეურნეობით შეიცვალოს; ირკვევა ისიც, რომ ამ მიზანს საკმაოდ ვერ ემსახურება ვერც კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, ვერც თითო-ოროლა ინსტრუქტორის გაგზავნა სოფლებში მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულების მიერ. ქართულს მეურნეობაში ახალი სამეურნეო ტეხნიკის შეტანა, ახალი სამეურნეო იარაღებით დამყნობა, ახალი სამეურნეო მრეწველობის განვითარება და ახალ მცენარეების კულტურის დანერგვა ყველა ეს მხოლოდ ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლიან, რომელიც თვით მეურნეებისაგან იქნება შემდგარი და პირდაპირს გავლენას იქონიებს ეხლანდელ მდგომარეობაზე. ასეთ საზოგადოებად გვქონდა ჩვენ წარმოდგენილი ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

თუმცა ამ საზოგადოების დაარსება თვალსაჩინოდ დაგვიანდა, ჩვენთვის უცნობ მიზეზებისა გამო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ინიციატორებს თავის განზრახვაზე საბოლოოდ ხელის აღება მაინც არ შეჰშვენით. ამ გაზეთის ფურცლებზე ერთხელ და ორჯელ არ ყოფილა აღნიშნული, რა ღრმა ცვლილება ჰხდება ჩვენს დროში მიწის მფლობელობაში. მიწა წინანდელივით უძრავი აღარ არის. იგი ეხლა მოძრავია და ხელიდან ხელში გადადის. მიწის მოძრაობას თავისი შეურყეველი კანონები აქვს; იგი გამოწვეულია უმთავრესად სამეურნეო კულტურის დაქვეითებით და მიმართულია იქითკენ, რომ უმაღლეს სამეურნეო კულტურის მატარებელი პატრონი იპოვნოს. ვერავითარი ხელოვნური საშუალება ვერ შეაჩერებს მიწის მოძრაობას; იგი მხოლოდ იქ შეჩერდება, სადაც საკმაოდ მაღალი სამეურნეო კულტურა აღმოჩნდება. პრინციპიალურად არავის არა ჰსურს, მამა-პაპეულ მიწა-წყალზე ხელი აიღოს და შორიდან-და უცქიროს იმ ადგილებს, სადაც გაუტარებია მას თავის სიცოცხლის საუკეთესო წუთები. მიწა თავისკენ იზიდავს ადამიანს. მაგრამ ეს მიწის მფლობელობის პოეზიაა, რომელიც უძლურია და უნაყოფო ეკონომიურ აუცილებლობასთან ბრძოლაში. მიწის შესარჩენად მარტო ოდენ პოეზია და წმინდა პრინციპები მაგრე რიგად დიდს სამსახურს არავის არ უწევენ. ვისაც მიწა უნდა, ის აუცილებლივ უნდა დაწინაურდეს სასოფლო მეურნეობის ტეხნიკაში. განზრახული ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ერთ-ერთი საშვალებაა სამეურნეო ტეხნიკის და კულტურის გასაუმჯობესებლად. იმის დაარსებას მოითხოვს არა განყენებული რამ პრინციპი, არამედ თვით ცხოვრების საჭიროება. უეჭველია, თუ აქამომდე შეფერხდა ამ საზოგადოების დაარსება, ალიბად იმიტომ რაიმე დაბრკოლება გადაეღობა მას წინ, მაგრამ საქმის ინიციატორებმა მხნეობა უნდა გამოიჩინონ, სძლიონ ყოველგვარი დაბრკოლება და თავისი განზრახვა კი საქმედ აქციონ.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28—29 ნოემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** ღამის 1 საათამდე არჩეულია: 163 ლიბერალი, 209 უნიონისტი, 29 მუშათა პარტიისა, 54 რედმონდის მიმდევარი, 5 ობრეიანის მომხრე.

მინისტრი მაკკენნი ხელმეორედ აირჩიეს.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ ალკოჰოლზე და შაქარზე არსებული მაზანდა ბირჟის აჟიოტაჟებმა ასწიესო. იუსტიციის მინისტრმა ამაზე განაცხადა, რომ თუმცა ისინი გაკიცხვის ღირსნი არიან, მაგრამ, კანონის ძალით მათ ხელს ვერ შეუშლითო. დიუპუიმ სთქვა: შარშან შაქარზე და ალკოჰოლზე ფასის მომატებამ სხვა ქვეყნებზედაც იქონია გავლენა, ხოლო უფრო ნაკლებიო. ფასის აწევას ხელი შეუწყო სპეკულიაციამაო. გარეშე ბაზრის მოწესრიგებაზე მოლაპარაკებას, შინაურ ბაზრის მოწესრიგება წინ უნდა უძღოდეს. საჭიროა კანონმდებლობის დამატებანი; კომისია ბირჟის ცვლილების საკითხს იმუშავებს: საჭიროა სალიკვიდაციო კასსა დაარსდეს და სისხლის სამართლის კოდექსი შეივსოს

**ბერლინი.** ფინანსთა მინისტრმა ლამოქნებს მოწერილობა დაუგზავნა, რომ ახალ განკარგულების მიღებამდე რუსეთიდან შემოტანილ ნალერლზე ძველებური ბაჟი ახდევინონ. გერმანელ მეწისქვილეთა ინტერესების უზრუნველსაყოფად ახლად შემუშავებულ წესების შემოღებას ელიან.

**პარიზი.** სოციალურ მუზეუმში პირველი კრება მოხდა მომხმარებელთა ლიგასი. სანოვაგის სიძვირე გამოიწვია მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირმა, რკინის გზის მგზავრთა ფედერაციამ, ლოთობასთან მებრძოლთა ლიგამ და წესიერ საზრდოობის ლიგამ. კრებამ ითათბირა სანოვაგის გაძვირებაზე, რაც გამოწვეულია მწარმოებელთა, შუამავალთა, და ჩარჩთაგან სანოვაგის ხელოვნურ დამზადებისაგანაო.

**სტამბოლი.** რადგანაც დრუზები თავ-გამოდებით იგერიებენ ჯარს, სისიის მისახლეთა იარაღის ასაყრელად გადასწყვიტეს ჰაურანში 20 ბატალიონი მოაშველონ. დამასკში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

იდრისის, ასირის და იმენის შეიხები ჯანყობენ. მათ რამდენიმე პატარა შეიხიც მიემხრო.

**ბელსფოსტი.** არჩევნების გამო გუშინ დიდი არეულობა მოხდა. რევოლვერების სროლა ასტყდა. დაჭრილებიცაა. ბევრს მაღაზიებში შუშები ჩაამტვრიეს.

**ვაშინგტონი.** სამხედრო მინისტრი მთავრობას ურჩევს, საჭიროთანხა გადადეთ და კარგი საფრენები შეიძინეთო.

**სან-ანტონიო** (ტეხასი). მექსიკის გარეშე საქმეთა მინისტრის შვილი მეამბოხეებმა ტყვედ ჩაიგდეს ხელში და მძევლადა ჰყავთ.

**ქრისტიანია.** ნობელის პრემია ბერნში არსებულ მშვიდობიანობის მუდმივ ბიუროს მიესაჯა.

**კალკუტა** ინდუსებსა და მუსულმანთა შორის კვლავ სისხლის ღვრა მოხდა. რამდენიმე მოჰკლეს, დაჭრილი ბევრია. წესიერების აღსადგენად პოლიცის გარდა, ქვეითა და ცხენოსანი ჯარი ჩაერია. ინდუსთა შორის მღელვარება ძლიერ ვრცელდება.

**ბერლინი.** კანცლერმა განაცხადა, რომ ხარჯთ-აღრიცხვას მიზნად აქვს ფინანსიური რეფორმები მოახდინოს და სამხედრო ჯარი და გემები გააძლიეროს. კანცლერი ისეთს პოლიტიკას ადგია, რომელსაც იმპერატორი და მოკავშირე სახელმწიფონი იწონებენ. ამ საქმეში იგი რეიხსტაგის თანხმობას იმედოვნებს. სოციალისტების შესახებ კანცლერმა განაცხადა, მთავრობას განსაკუთრებული მათი შევიწროება არ ესაჭიროება. საჭიროა მხოლოდ, ხალხმა იცოდეს, თუ სოციალ-დემოკრატები რას ესწრაფვიან და რას აღიარებენო. მოაბიტის ამბების გამო კანცლერმა სთქვა,—სოციალისტების მოწყობილი იყოვო. გერმანიის ხალხი—კანცლერის აზრით—სოციალისტთა ეკონომიურსა და პოლიტიკურ უტოპიას უკუ-აგდებსო. საზოგადოებაზე მზრუნველობას სოციალ-დემოკრატებთან საერთო არა აქვს რაო. წინააღმდეგობის გამოწვევთა ასალაგმავად მთავრობის ენერგია იმდენად იმატებს, რამდენადაც თვით წინააღმდეგობა გაიზრდება. კანცლერმა ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს მიმართა გაერთიანებულის მუშაობით ის შეირჩინეთ, რაც იქვენგანვეა შექმნილიო. (ძლიერი

ტამის-ცემა რეიხსტაგის უმრავლესობისა). გარეშე პოლიტიკაზე კანცლერმა მოკავშირე ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს მადლობა განუცხადა პარლამენტებში თანაგრძნობისა და ნდობის გამოცხადებისათვის; ავადისში საფრანგეთის სამხედრო გემის მისვლა ჯერ ოფიციალურად გამორკვეული არ არის; ოსმალეთის სესხის საქმე ბერლინში მოეწყო, მხოლოდ იმის გამო, რომ პარიზის მიერ წამოყენებული პირობები ოსმალეთმა ვერ მიიღოვო. მთავრობა ამ ფინანსიურ მოლაპარაკებას თანაგრძნობით შეხვდა, რადგანაც ამითი ოსმალეთს ფინანსიურ გაჭირვებას ხელს უწყობდა და არსებულ მშვიდობიანობის პოლიტიკასაც განამტკიცებდა. ინგლის-გერმანიის დამოუკიდებულების თაობაზე კანცლერმა განაცხადა; ჰააგის კონფერენციაზედვე ინგლისმა სასურველად სცნო, რომ ყველა სახელმწიფოთა სამხედრო გემთა ძალნი შეთანხმებით განისაზღვროსო. გერმანია ინგლისის სურვილს ეთანხმება და შეიარაღების საქმეში მოქიშპეობას ერიდება. გერმანიისა და რუსეთის იმპერატორთა შეხვედრას სასურველი შედეგი მოჰყვა. შეხვედრის ნაყოფს ასე განვმარტავდი: კვლავ გამოაშკარავდა, რომ არც ერთი სახელმწიფო მეორეს წინააღმდეგ ხელს არ გამოიღებს.

ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლიან განვაცხადოთ, რომ ბალკანეთის საქმის თაობაზე გერმანია და რუსეთი თანაბრად არიან დაინტერესებულნი და არსებულ მდგომარეობის შეცვლას არ ეცდებიანო. სპარსეთის თაობაზედაც მეგობრული მოლაპარაკება გვქონდა და სასურველად ვცანით, რომ სპარსეთში წესიერების დამყარება ორივე სახელმწიფოს ინტერესს შეადგენს. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ რომ ჩვენი აღებმიცემობა სპარსეთში არ შეფერხდეს. რუსეთსაც ესა ჰსურს თავისი აღებმიცემობისთვის; და, როგორც სპარსეთის მოსაზღვრე ქვეყანა, იგი მოსურნეა რომ მომიჯნავე ოლქებში მშვიდობიანობა არ ირღვეოდეს. ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით, რომ საჭიროა—რომ რუსეთმა ჩრდილო სპარსეთში ძლიერი გავლენა მოიპოვოს და რუსეთის ყოველ კონცესიებზე, რკინის გზისა ტელეგრაფის გაყვანაზე, უწყებულ ოლქებში, რა თი რუსეთს შეძლება მიეცეს, როგორც სპარსეთის მომიჯნავე ქვეყნის, თავისი მისწრაფებანი სისრულეში მოიყვანოსო. რუსეთი თავის მხრივ არამც თუ ხელს არ შეუშლის ჩვენს აღებ-მიცემობას, არამედ სპარსეთის ბაზრის გზას გაგვიხსნის, ბაღდადიდან ნახჩევენამდე.

პოტსდამში მომხდარმა მოლაპარაკებამ ზოგიერთი გაუგებრობა გამოარკვია და რუსეთის ნდობა განამტკიცა, (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

კანცლერის მერე თავისუფალმა მოაზრემ ილაპარაკა და მთავრობას საგარეო პოლიტიკა მოუწონა. თავისუფალმა კონსერვატორმა სთქვა, რომ კარგი ფინანსებიც ისევე ემსახურებიან მშვიდობიანობის საქმეს, როგორც კარგი ლაშქარიო.

**ტოკიო**. ხალხის დაუსწრებლად, 26 ანარქისტის საქმის გარჩევა დაიწყო.

**ლონდონი**. შემფასებელმა კომისიამ 13 ხმით, 12 წინააღმდეგ მეფის მამულებს გადასახადი შეაწერა.

**სტამბოლი**. იემენში იახიამ 4 ათასის ცხენოსან ჯარით თაისის ოლქი დაიპყრო.

მცირე აზიაში სომა-პანდერმის გზის გასაყვანად 58 მილიონს ფრანკსა სესხულობენ.

**ვაშინგტონი**. ოფიციალურის ცნობებით, შეერთებულ შტატების მცხოვრებთა რიცხვი 91,972,266 უდრის. 1900 წლის შემდეგ 21 პროცენტით უმატნია.

**რ უ ს ე თ ი**

**ეკატერინოსლავი**. იულევკაში პოლიცია ყაჩაღ ლისტოპადს წამოეწია, მან სროლა ასტეხა და ჩაფრების უფროსი მოჰკლა. ისიც მოჰკლეს.

**მინსკი**. მაკარიჩში დამარხული ხაზინა იპოვნეს, სადაც 1366 ვერცხლის ფული ყოფილა მე-16 საუკუნისა, სიგიზმუნ-აგუსტის დროინდელი.

**პეტერბურგი**. სათათბიროსთან არსებულმა ქალაქის საბჭოთა კომისიამ სასურველად სცნო, რომ პრეზიდენტი, მის თანაშემწეს, ბურგომისტრსა, ქალაქის გამგეობის წევრებს და ბურგომისტრის თანაშემწეთ უფლება მიენიჭოთ ქალაქის საბჭოს თანხმობით არჩეულ იყვნენ ხოლმე სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში, ამავე კომისიამ დაადგინა, რომ პოლონეთში ებრაელებს უფლება არა ჰქონდეთ ქალაქის პრეზიდენტად, ბურგომისტრად, მის თანაშემწედ, მათ თანამდებობის ამსრულებლად, და ქალაქის გამგეობის მდივნებად იყვნენ არჩეულნი.

**კიევი**. ყაჩაღი შეიპყრეს, რომელთაც 18 მკვლელობა მოუხდენიათ. მათ აღმოაჩნდათ ასაფეთქებელი მასალა, ვინტოვკა, პატრონები, რევოლვერები და ყალბი პასპორტები.

**პეტერბურგი**. უმართებულესმა სენატმა სამსახურის დროს დანაშაულობის ჩადენისათვის პასუხის გებაში მისცა კოვის ქალაქის უფროსად ნამყოფი გენერალი რეინბერტი და მისი თანაშემწე კოროტკოვი.

**ყაზანი**. მთავარ ეპისკოპოსი ნიკადრი გარდაიცვალა.

**ბაქო**. შავ ქალაქში ორმა სპარსელმა მაუზერით მოჰკლა აქციზის მოხელე ალექსეევი.

**პეტერბურგი**. ვაჭრობის მინისტრმა ნება დართო, რომ ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრებამ ექსპორტის ტარიფის დაკლებაზე ითათბიროს.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ქართული სალამო-მეჯლისი**. დღეს ქართულს თეატრში მორიგის წევრის ნიკოლოზ ტარსაიძის გამგეობით გამართული იქნება ჩვეულებრივი სალამო მეჯლისი მეტად საინტერესო პროგრამით. პირველად წარმოდგენილი იქნება ვ. სვეტლოვის ერთ მოქმედებიანი დრამატიული ეტიუდი „ღამე“, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ნინო დავითაშვილი და ი. ზარდალიშვილი. მას შემდეგ პირველად ქართულ სცენაზე წარმოდგენილი იქნება ეგრედ წოდებული „ყოფილი და წარსული“ ორ მოქმედებიანი სანახაობა, რომელიც დასურათხატებული იქნება ჩვენებურის სიმღერებით, ცეკვა-თამაშით, ქადობით, მუსიკით—დაირა საზანდრებით და სხვა სახასიათო და ტიპიურის ზნე-ჩვეულების სურათებით. ბილეთები, როგორც გადმოგვცეს, კარგად იყიდება.

✦ **არხი შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე**. ამ მოკლე ხანში სახელმწიფო სათათბირო განიხილავს შავი ზღვის ბალტიის ზღვასთან შემაერთებელ არხის გეგმასა. არხი გაყვანილი იქნება დნეპრისა და დასავლეთ დვინსა შუა და სიგრძე ექნება 2000 მილი. ნავარაუდევია 26 მილიონი ხარჯი. არხი ისე ღრმა უნდა იქნეს, რომ შესაძლებელი იყოს გემების მუშაობა. სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, არხს დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც ექნება, რადგანაც ხორბალი და დონის ქვა-ნახშირის გადაზიდვა ამ არხით იწარმოებს. ამასთანავე მნიშვნელობა ეძლევათ ქ. ქერსონეს შავ ზღვაზე და ქ. რიგას ბალტიის ზღვაზე, როგორც არხის სათავეში მდებარე ქალაქებს. მუშაობას შეუდგებიან მომავალ წელს და ხარჯის გაწევას კისრულობენ საფრანგეთის და რუსეთის კაპიტალისტები.

✦ **ხუნდების აღმოჩენა**. ამ დღეებში ტფ. ცენტრალურ ფოსტის არქივი ძველის შენობიდან ახალში გადაიტანეს. გადატანის დროს ფოსტის მოხელეებმა ოთახის ერთს კუნჭულში 16 ცალი ხელებზე დასადები ხუნდი იპოვეს, რომელიც კარგად შენახულიყო. როგორი იყო ძველად ამ ხუნდების დანიშნულება, დანამდვილებით არავინ იცის. ფოსტის ძველი მოხელენი ირწმუნებიან, წინად რაიმე მცირე დანაშაულისთვის ფოსტის დაბალ მოსამსახურეებს ამ ხუნდებს ადებდნენ ხელებზედაო.

✦ **ზელიმ-ხანის წერილი**. ცნობილ ყაჩაღის ზელიმ-ხანის სახელით ნამესტნიკთან გამოგზავნილი წერილი, გაზეთ „ბაკუ“-ს სიტყვით, შტაბის უფროსს გადაეცა. წერილს მნიშვნელობას არ აძლევენ, რადგან ჰფიქრობენ, რომ ის ზელიმ ხანის მოწერილი არ არის: წერილი დაწერილი ყოფილა კარგის რუსულის ენით, ზელიმ-ხანმა კი რუსული კარგად არ იცის.

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის არჩევის გამო**. 27 ნოემბერს საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირი მოჰხდა გამგეობის წევრის არჩევის გამო. გამოირკვა, რომ უმრავლესობას სურს, ი. ს. ჯაბადარი იქმნეს არჩეული. დასახელებულ იქმნა ვ. რცხილაძეც. არჩევა გუშინ სალამოსთვის იყო დანიშნული.

✦ **ტფ. ქალაქის მოურავის შეპყრობა**. 26 ნოემბერს, სალამოს ექვს საათზე, პოლიციის პირველ ნაწილში პოლიციამ და ჯარის კაცებმა საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს შეიპყრეს, სხვათა შორის ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი. მან განაცხადა, მე ქალაქის მოურავი ვარო, მაგრამ არ დაუჯერეს და ვინაობის გამოსარკვევად პოლიციაში მიჰყავდათ. არ მიაქციეს ყურადღება არც მისს სავიზიტო ბარათს. ბოლოს, დიდი დავი-დარაბის შემდეგ, ა. ი. ხატისოვი გაანთავისუფლეს ერთის პოლიციელის (გოროდოვოის) თავდებობით.

✦ **ავჭალის წყალსადენი**. დღეს ავჭალაში ტფ. ქალაქის წევრის ნ. ე. არღუთინსკის მეთაურობით ავჭალაში მიემგზავრება ქალაქის საგანგებო კომისია იქაურ წყალ-სადენის დასათვალიერებლად.

✦ **შემოწირულებანი**. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს: თ. ალექსანდრე ივანეს ძემ ლეონიძემ—1) სპილენძის თასი წარწერით: „ელიზბარისი“, 2) სპილენძის ქვაბ-ქოთანა (გურულად ვაპჭანა) წარწერით: „თამარ დედოფლის ზილახანისა“, 3) სპილენძის ოთხკუთხი სახიანი ფიცარი (სახე გამოჭრილია!, 4) რვა სიგელ-გუჯარი—ოთხი ქართული და ოთხი თათრული— და 5) ძველი ფულები: არაბული (ვერცხლისა, კოლხური და ბარბაროსული (ოქროსი, მიბაძვა ბერძნული ფულისა); თეკლე ნიკოლოზის ასულმა აბაშიძისამ—მილანქრიანი სურა და დანა-ხანჯალი.

✦ 27 და 28 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 92 უპასპორტო.

# ჭიათურის შავი-ქვა

იმერეთსა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ეს ოცი, ოცდაათი წელიწადია დიდს შეღავათს აძლევდა ჭიათურის შავის-ქვის წარმოება. რამდენიმე ათასი მუშა და მადნების პატრონ-დამმუშავებელნი ამ მადნის შემყურენი იყვნენ, ამით და იბრუნებდნენ სულს. უმთავრესი ბაზარი, სადაც ეს მადანი საღდებოდა უცხოეთში, ინგლისი იყო. უკანასკნელ მოძრაობის დროს ჩოქნის ქვის წარმოება დაეცა, მისს არსებობას კრიზისი დაუდგა, და ისეთნაირადაც დაეცა, რომ მისს ფეხზე წამოყენებას დღემდე ვერაფერი ეშველა. ჩვენებურ მადნების სიმდიდრე და თვით ქვის კარგი ღირსება საქვეყნოდ ცნობილი იყო და ჩვენც თავს იმით ვინუგეშებდით, რომ ბრაზილიისა და ინდოეთის ქვა კონკურენციას ვერ გაგვიწევს მსოფლიო ბაზარზე და, რაც უნდა განსაცდელი გამოიაროს ჩოქნის ქვის წარმოებამ, ბაზრიდან მაინც ვერავინ გააძევებსო. ჩვენთან ერთად ალბად მთავრობაც ასეთისავე აზრისა იყო (და უეჭველია დღესაც არის) და კიდეც იმიტომ დაგვიწესა ზღაპრული მაღალი ტარიფი ჭიათურასა და შორაპანს შუა ქვის გადასაზიდად!.. და აი სწორედ ამ ყოველის წინდახედულობის და ელემენტარულის ანგარიშიანობის გარეშე დაწესებულმა ტარიფმა მიიყვანა სიკვდილის პირას ჩვენის ქვეყნის ერთად-ერთი თვალსაჩინო წარმოება, მასზე დამოკიდებულ მცხოვრებთა არსებობა. ამ ტარიფის დამწესებელთ რომ კეთილგონიერებით და რაიმე ანგარიშით ეხელმძღვანელნათ, ლონდონის ბაზარზე ჭიათურის შავიქვის წინააღმდეგ, რაც უნდა ცუდი პირობები შექმნილიყო, ჩვენი წარმოება, თუ წინანდელ პრესტიჟს ვერ შეინარჩუნებდა, ისე ვაგლახად მაინც არ დაეცემოდა, რომ წამოდგომაც გასჭირდება, როგორც ეს დღეს ემართება.

დღეს ლონდონის ბაზრიდან **სრულიად განდევნილია** ჩვენებური შავი ქვა. ეს წელიწადიც თავდება, მომავალ 1911 წლისათვის, თუ გაყიდვა იყო საქონლისა, სწორედ ახლა უნდა გაყიდულიყო. და ჯერ კი ჩვენებური ქვა, რამდენადაც ვიცით, არაფერი გაყიდულა. გაის გაიყიდება? საეჭვოა. ჩვენი ქვის მაგიერ კი მომხმარებელნი შავქვას ჰყიდულობენ ბრაზილიისა და ბრიტანეთის ინდოეთის შავი-ქვას. წარმოიდგინეთ, ნიკოპოლის (დნეპრზე) შავიქვა რა სახსენებელია ჩვენს ქვასთან შედარებით, და ისიც კი კონკურენციას გვიწევს,—მერე როგორს: გერმანიაში ეს ქვა და მიდის რუსეთიდან (ხმელეთით).

ჩვენებურის შავის-ქვის წარმოების დაცემის და მსოფლიო ბაზრიდან მის განდევნის შესახებ ცნობილ ინგლისურ სამთამადნო ყოველკვირეულ ჟურნალში დაბეჭდილია მეტად საყურადღებო წერილი ბ-ნის ე. დე ჰაუტპიკისა.*) ჩვენებურ მრე-

*) The last gasp of the Bussian (Chiaturi) manganese industry. By E. de Hautpick. The Mining journal, November 12. 1910.

# ნიჭიერი მწერალი

(არ ახალია—ძველია).

საჭიროდ ვრაცხ ამ თავიდანვე გავაფრთხილო მკითხველი, რადგან სიტყვას „მწერალი“ როცა ვხმარობ, ვიგულისხმებ პოეტს, ბელეტრისტს, დრამატურგს.

ვინ არის ნიჭიერი მწერალი?

ვის დაერქმის ღირსეულად ეს სახელი?

რა ნიშნები ეტყობა უტყუარ ნიჭსა?

მწერალს, უპირველესად ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ,—მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წაგიკითხავთ წინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის.

ამ განსაკუთრებულს ძალს რა ასვამს ნაწარმოებს და რა ჰხდის მას ადვილ საცნობლად?

ეს გახლავთ „ენა“, რაშიაც უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე, ავლა-დიდება.

ფესვები მწერლის ენისა, სტილისა, იქ არის ჩაწმახნული. მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული; მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურობისა უნდა ესვას.

ეს, ვსთქვათ, გარეგანი ნიშნებია მწერლის ნიჭისა. ხოლო შინაგანი ღირსება ისაა, თუ რა მოვლენანი გაუხდია მას თავის მწერლობის საგნად და რა ღირებულობისაა ეს მოვლენანი, რამდენად დამოკიდებულია ამ მოვლენებზე ბედი და უბედურობა, სიავე და სიკეთე ადამიანთა სიცოცხლისა, ცხოვრებისა,—და რამდენად ცხოვლად, ნათლად, მკაფიოდ, ძლიერად გვიხატავს ამ მოვლენათ, რამდენად ვვიტაცებს, გვიმორჩილებს მისი ნაწარმოები,—ჩვენზე რამდენად ძლიერად მოქმედობს. ყოველი ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ მწერალი რამდენად ღრმადაა ჩახედული ცხოვრებაში, რამდენად ესმის საჭირბოროტო კითხვები ამ ცხოვრებისა და რამდენად ძლიერად იგრძნო მათი მავნებლობა, თუ სარგებლობა.

დიაღ, სარგებლობა და მავნებლობა...

ნუ გგონიათ, რომ ამას ანგარიშს არ უწევდეს პოეტი:

თუ სხვაში, ყველაფერში, დაბდური, უანგარიშო, დაუდევარია, ამ შემთხვევაში უაღრეს ანგარიშიანობას იჩენს,—იგი ადამიანთა ცხოვრების დარაჯია.

გენიოსების ნაწარმოები რომ განსჭვრიტოთ ამ თვალ-საზრისით, იქ უფრო ცხადად შეჰნიშნავთ ამას; ესაა მათი დამახასიათებელი, ესაა ღრმა, წამალ-დაუდებელი, მოურჩენელი წყლული იმათ გულისა. ცხოვრების და ბუნების გარეშე წარმოუდგენელია მწერალი, როგორც ყოველი სულიერი და უსულო არსება; წარმოუდგენელია ნიჭიერი მწერალი, გენიოსი, უიმისოდ, რომ იმას არ აწუხებდეს ტკივილები ადამიანთა ცხოვრებისა.

თუ ამას მოკლებულია, იქ ნიჭს რა ესაქმის, იგი მაშინ მკვდარია, არარაობაა.

შეიძლება გენიოსების ნაწარმოებში ეს ადამიანთა ცხოვრების ტკივილები მკითხველს თვალში არ ეჩხირებოდეს, როგორც რეკლამა, მაგრამ, აბა, მოჩიჩქნეთ, ღრმად მოუთხარეთ, ჩაიხედეთ კარგად, იქ რამდენ ცრემლის ზღვას დაინახავთ, ადამიანთა უბედურებისა გამო დანთხეულს!

რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის მწვავე საკითხებთან.

გენიოსი სდუღს, იხარშება, ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქურაში და იმავე დროს ეს წუთისოფელიც სდუღს და ნახევრად მოხარშულიცაა იმის გულში.

გენიოსს არ შეუძლიან, იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად, ან მეოთხედად, არამედ ჰგრძნობს მთლად, ერთობლივ; არ შეუძლიან აგრედვე იგრძნოს დაბალი, მცირეღირსების საკითხები, რომლებიც დაახლოვებულნი არ არიან კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან.

გენიოსთა ნაწარმოები ეროვნულ ნიადაგზე და ხშირად ეთნოგრაფიულზეა აღმოცენებული, მაშასადამე—კერძო თვისებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთნოდეს იგი...

ნიჭიერი მწერალი ექიმია ცხოვრებისა და თუ მწერალთა შორის სხვა-და-სხვაობა იბადება, სხვა-და-სხვა წამლის მიწვდა სნეულისათვის, ეგ ნიჭისა და ინდივიდუალობის ბრალია.

ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებს სამი უმთავრესი მიმართულება ეტყობა, თუ კარგად დავუკვირდებით.

პირველი ის, რომ ჩვენ მონანი ვართ ცხოვრების პირობებისა, უძლურნი ვართ მის წინაშე,—არ არსებობს თავისუფალი ჩვენი ნება,—ყოველი უბედურებაა ჩვენს თავს: უსამართლობა, უზნეობა, სილარიბე, ყოველ გვარი ცდომილება ამ პირობების ბრალია.

მეორე მიმართულება გვიკარნახებს, რომ აქ ცხოვრების პირობები არაფერს შუაშია და თუ ჩვენ საზოგადოების წევრნი, პირადად არ გავუკეთესდებით, ათასი კარგი პირობებიც რომ შევქნათ, მაინც არაფრად ვევარგებით, უბედურები ვიქნებით, მაინც უსამართლობას, საწყლობას, უსწორ-მასწორობას თავიდან ვერ ავიცილებთო.

მესამე მიმართულება, აერთებს-რა პირველ ორ მიმართულებას ე. ი. ცხოვრების პირობათა ძლიერებას იღებს მხედველობაში პიროვნებათა, ინდივიდთა გაუმჯობესებას მეტს ღირებულებას, მეტს მნიშვნელობას აძლევს.

აი საწორი და საზომი, რომლითაც მწერალნი ჰზომენ და სწონენ ცხოვრების მოვლენათა.

აღზდისა, პირველ სიყმაწვილის შთაბეჭდილებათა, ბრალია, რომ ზოგი პოეტი საგმირო მოვლენათ დაჰმღერის, მეორე—ბუნებას, მესამეს—თავის საგნად მდაბიო ხალხის ცხოვრება გაუხდია და სხვა.

აქედგან წარმოსდგება თვისება, მიმართულება ნიჭისა, ხოლო სიღრმე აზრისა და გრძნობისა ნიჭის ძლიერებაზე, მის განვითარებაზეა დამოკიდებული.

ერთსა და იმავე საგანზე, თემაზე, ყველა პოეტი ერთსა და იმავე ღირსების თხზულებას ვერ დასწერსდა ეს შეიძლება მოხდეს იმის გამო, რომ საგანი მისის ნიჭის, შემოქმედების, საზღვრების გარეშეა, არ შეესაბამება მის ნიჭს და თუ შეესაბამება, სუსტი ნაწარმოების დამწერი სუსტის ნიჭის პატრონად უნდა ვაღვიაროთ.

ახალგაზდა ნიჭს, რომელსაც ჯერ გზა ვერ გაუკვლევია, ბნელში ხელებს აფათურებს, ტირილზე ტირის, სიცილზე იცინის, ხოლო არ იცის, ვერ ჰხედავს ტირილი მგლისაა, თუ ცხვრისა, სიცილი კეთილ ადამიანებისაა, თუ ავაზაკთა, ხშირად მისდევს მოდას, ბრბოს, დროების გემოვნებას, ჰღალატობს თავის ნიჭს, იმ ფესვებს, რომლებზედაც აღმოცენდა მისი ნიჭი და შემოქმედება.

ამ შემთხვევაში მას დახმარება უნდა კრიტიკამ გაუწიოს. დააყენოს შესაფერს გზაზე.

დიდი საქმეა მწერლისთვის, სცნობდეს იგი თავის ფესვებს; დიდი საქმეა მცენარისთვის ერთს ალაგას იდგეს და მის ფესვებს არავინ სჩიჩქნიდეს და ერთი ადგილიდან მეორეზე და მესამეზე არ გადაჰქონდეთ. ხოლო ფესვები მწერლისა მის სიყრმის დროის სიცოცხლეშია გართხმული. იქ, სწორედ იმ მომენტიდან იწყება ამ ფესვების ზრდა, როცა პირველად მწერლის ნიჭი გაიღვიძებს, ცხოვრების, ბუნების, შთაბეჭდილებათა წყალობით, როცა ის ან „ვაის“ წარმოსთქვამს, ან „უის“...

სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვდავია ადამიანის გულში, საერთოდ მით უმეტეს ნიჭიერი ადამიანისა და ნიჭის სათავე და დასაწყისიც სწორედ იქ არის. პირველად პატარა ყლორტი ამოვა და თუ არაფერმა შეუშალა ხელი თან და თან ზრდას იწყებს და დიდ ხედ გაიზრდება.

ასე სწარმოებს ნიჭის განვითარებაც.

ეს სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი ასმევენ პოეტს შემოქმედების ნექტარს. დარწმუნდით, რომ სიყმაწვილის შთაბეჭდილებათა ბრალია, რომ შექსპირებმა და რუსთაველებმა გავაგონეს ხმები „გულისა გასაგმირონი“.

დიდად საჭიროა მწერლისთვის პატრიოტიზმი, თავის ენის და ერის სიყვარული.

როგორ შეიძლებოდა, თქვენვე იფიქრეთ, რუსთაველს მონგოლურად, ან არაბულად ეფიქრა, ეგრძნო და ისე დაეწერა „ვეფხის-ტყაოსანი“.

ან დიდი მცოდნეც რომ ყოფილიყო მონგოლურის და არაბულის ენებისა და იმათ ენაზე დაეწერა თავის უკვდავი ნაწარმოები ის იქნებოდა, რასაც დღეს ვხედავთ?

არც მესამედი!

პოეტისათვის ისევ საჭიროა უყვარდეს თავისი ერი და ამ სიყვარულს იმდენივე მნიშვნელობა აქვს მისთვის რამდენიც ორთქლ-მავლისთვის ორთქლისა: როგორც უორთქლოდ მან-

წვრილ-ექსპორტერთა საყურადღებოდ მიგვაჩნია ეს წერილი უკლებლივ ვსთარგმნოთ ჩვენის გაზეთისათვის. სათაურად ამ წერილისა აქვს: „უკანასკნელი სულის ლაფვა რუსეთის (ჭიათურის) შავის-ქვის მრეწველობისა“:

„დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც რუსეთს პირველი ადგილი ეჭირა შავის-ქვის მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ ამ უკანასკნელ სამის, თუ ოთხის წლის განმავლობაში იმ რუსეთს, რომელსაც წინად მოცილე არა ჰყავდა, ბრაზილია და ბრიტანეთის ინდოეთი საშინელ მეტოქეებად გაუხდნენ და 1908 წლიდან მოკიდებული რუსეთმა თავისი პირველობა შავის-ქვის წარმოების საქმეში ბრიტანეთის ინდოეთს დაუთმო, როგორც ამას გვიჩვენებს ქვემორე მოყვანილი ცხრილი, სადაც აღნიშნულია წლიურად რამდენი ტონი შავი-ქვა გაუზიდნიათ ამა თუ იმ ქვეყნიდან:

| წელიწადი. | რუსეთი. | ბრიტანეთის ინდოეთი | ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. | ბრაზილია. |
|---|---|---|---|---|
| 1898 | 333,000 | 62,000 | 61,000 | 31,000 |
| 1900 | 720,000 | 80,000 | 58,000 | 68,000 |
| 1902 | 490,000 | 160,000 | 150,000 | 162,000 |
| 1904 | 400,000 | 170,000 | 122,000 | 186,000 |
| 1906 | 920,000 | 490,000 | 170,000 | 220,000 |
| 1907 | 890,000 | 840000(?) | 178,000 | 300,000 |

1908 წლის მდგომარეობა ერთბაშად გამოიცვალა. ამ წელიწადს რუსეთში დაუმუშავებიათ მხოლოდ 302.000 ტონი შავი-ქვა, იმ დროს, როცა ბრიტანეთის ინდოეთში ეს წარმოება 650,000 ტონამდე ავიდა. 1909 წელიწადი ამაზე უარესი იყო. წარმოება ისე დაეცა, რომ არც ერთ წინანდელ ცუდ წელიწადს ისე არ დაცემულა.

იგივე ცუდი დღე დაადგა მადნის გატანის საქმეს 1907 წელში. რუსეთიდან გატანილ იქმნა 650,000 ტონი შავი-ქვა, ხოლო 1908 წ. მხოლოდ 50.000 ტონი, და 1909 წელს კი 75,000 ტონი. დაახლოვებით იმდენივე მოითხოვეს სამხრეთ რუსეთის სამეტალურგიო ქარხნებისათვისაც.

ამავე დროს რაოდენობა შავის ქვისა, რომელსაც ამუშავებენ რუსეთის ორ მხარეში, ჭიათურასა და ნიკოპოლში (დნეპრზე), უცბად შეიცვალა ერთი-მეორესთან შედარებით. წინად ჭიათურაში დამუშავებულ ქვის რაოდენობა შეადგენდა მთელს რუსეთში დამუშავებულ ქვის $80^0/_0$, ხოლო დნეპრის მხარისა $20^0/_0$. ახლა მთელის რუსეთის შავი-ქვის წარმოება ძალიან დაეცა, ხოლო ნიკოპოლში კი ამა (1910) წლის პირველ ექვს თვის განმავლობაში დაუმუშავებიათ 105.000 ტონი. ამავე დროს გემით გატანა ნიკოლაევის პორტიდან შავიქვისა, 1909 წელთან შედარებით, შემცირდა, ხოლო ხმელეთით (რკინის გზით) გერმანიაში გატანილ საქონლის რაოდენობამ ერთი-ოთხად იმატა, წინანდელთან შედარებით.

ამგვარად, ვხედავთ, რომ რუსეთის შავი-ქვის წარმოება საშინელ კრიზისს განიცდის; თითქო ლონდონის ბაზარზე და ყველა მხარეში, რომელიც ამ ბაზარზეა დამოკიდებული, ზურგი შეაქციეს და ბოიკოტი გამოუცხადეს რუსეთის შავ-ქვასაო! ახლა რუსეთის შავ-ქვას ხმარობს მხოლოდ რუსეთის ქარხნები და გერმანია, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს რუსის შავი-ქვის მოხმარებაში; და, რადგან ნიკოპოლი ორჯელ უფრო ახლოა ამ ორ ბაზარზე, ვიდრე ჭიათურა, კავკასიის შავის-ქვის მრეწველობის კრიზისმა უკიდურეს ხარისხამდე მიაღწია. ანუ უკეთეს მრეწველობა უკანასკნელ სულსა ღაფავს. ჭიათურის შავის-ქვის მრეწველნი და რუსის მთავრობა იმის ცდაში ლა არიან, რომ ამ უკიდურეს მდგომარეობისაგან გამოსასვლელი გზა იპოვნონ როგორმე. ამ ცოტა ხანში პეტერბურგში დაიწყება სხდომა საგანგებო კომისიისა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით, შესამუშავებლად იმ ზომებისა, რომელიც ხმარებულ უნდა იქმნეს შავის-ქვის მრეწველობის მოსაწესრიგებლად. ამ თათბირის დანიშვნის მიზეზი შემდეგი იყო: წარსულ მარტის თვეში, კავკასიაში ხელმწიფის მოადგილემ მინისტრთა საბჭოს მოხსენება წარუდგინა. ამ მოხსენებაში ხელმწიფის მოადგილე ამბობდა: საჭიროა შესაფერი ღონე ვიღონოთ — თავიდან ავიცილოთ დაღუპვა კავკასიის შავის-ქვის რაიონისა, რომელსაც არა მარტო ადგილობრივი, არამედ სრულიად სახელმწიფო მნიშვნელობაცა აქვსო. მინისტრთა საბჭომ ყურადღება მიაქცია ხელმწიფის მოადგილის მოხსენებას და გადასწყვიტა გაემართნა თათბირი და ყოველ მხრივ აეწონდაეწონა ეს კითხვა, რომელსაც ესდენი სერიოზული მნიშვნელობა აქვს მთელ მხარისათვის.

ამ ზაფხულის გასულს ჭიათურაში წაველი იმ განზრახვით, რომ იქაური შავის-ქვის ბასეინი დამეთვალიერებინა და პირადად გავცნობოდი საქმის ვითარებას. ძალიან იშვიათად დააჯილდოვებს ბუნება დედამიწის ასეთ მდიდარის შავის-ქვის მადნით: მადანი ას ფუტის სისქეა მიწაში ჩაკეცილი, ოთხმოციდან ას მილის სივრცეზე, და ისიც იშვიათად მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, რომ ასე სისტემატიურად განადგურებულიყოს მთელი მხარე, როგორც ამას ჭიათურაში ვხედავთ. ჭიათურის შავი-ქვის წარმოების დაცემის საქმეში თვით მრეწველნი და ექსპორტორებიც არიან დამნაშავენი, რადგან ევროპის ბაზარზე ხშირად დაბალის ხარისხის და ტალახ-ნარევ საქონელსა ჰგზავნიდნენ. გარდა ამისა, კავკასიის რევოლიუციის დროს — 1905 —, როგორც ვიცით, ჭიათურაში შავი-ქვა ძალიან გაძვირდა და ამ გარემოებამ უცხოეთის მომხმარებულნი იძულებულ ჰყო კავკასიასთან დამოკიდებულება შეეწყვიტათ და მიემართნათ ინდოეთისა და ბრაზილიის შავი ქვისათვის, სადაც ამ მადნის წარმოება შესამჩნევად გაძლიერდა.

კავკასიის შავი-ქვა თუ კიდევ ასე, თუ ისე გამოჰქონდათ ევროპის ბაზარზე, ამის მიზეზი ის იყო, რომ საქონლის გადასაზიდი ქირა გემისა (ფრახტი) ფოთიდან ევროპის პორტებამდე იაფი იყო. ფრახტის სიიაფის წყალობით კიდევ შესაძლებელი იყო შავის-ქვის გატანა. მაგრამ ამ წლის მარიამობისთვის დამდეგიდან შავის-ქვის გატანა დაეცა, და საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელს ენკენისთვეში ფოთიდან საზღვარგარედ ერთი ფუთიც არ გაუტანიათ შავიქვა. რაც კავკასიაში შავიქვის წარმოება დაიწყო, ასეთი ამბავი ჯერ პირველია. ფრახტი ფოთიდან როტერდამში მაისსა, თიბათთვესა და მკათათვეში ტონზე 8 შილინგს (შილინგი — 48 კაპ.) არ აღემატებოდა. მარიამობისთვეში ცხრა შილინგიდან ცხრა შილინგ ნახევრამდე ავიდა. ენკენისთვეში 12 შილინგი გახდა; ხოლო ღვინობისთვეში 14 შილინგზე ნაკლები არა ყოფილა. ასეთის აწეულის ფრახტის წყალობით ისე ძვირად ჯდება ზღვით გადაზიდვა შავიქვისა, რომ უეჭველად შეჩერებულ უნდა იქმნეს საქონლის გაგზავნა მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტერებს დიდი ჯარიმა უნდა გადაიხადონ ხელშეკრულების დარღვევისათვის. უმეტესი წილი მსხვილ ექსპორტერებისა იმ აზრისანი არიან, რომ სანამ აზოვის ზღვა და შავის ზღვის ჩრდილოეთის ნაპირები არ გაიხსნება, მოსალოდნელი არ არის, რომ ფრახტმა დაიკლოს და ისევ განახლდეს შეჩერებული გაზიდვა შავიქვისა.

უცხოეთში გატანის შეჩერებასთან ერთად შეჩერდა დამუშავება შავი-ქვისა ჭიათურაში, შეჩერდა რკინის გზით გადაზიდვა საქონლისა ჭიათურასა და ფოთსა შუა. მუშები უსაქმოდ დარჩნენ. მათმა უსაქმურად დარჩენამ კიდევ გაამრავლა რიცხვი უკმაყოფილო, გაწირებულ და დამშეულ პროლეტარიატისა. მთავრობის რკინის გზას დიდი ზარალი მოსდის. შავის-ქვის გატანის შეჩერება ფოთსაც დააჩნდა. დიდი სავაჭრო ქალაქი დაცარიელებულ სოფელს დაემგავსა, სწორედ ისეთსავე დღეშია, როგორშიაც ბათომი იყო, როცა ამ ქალაქიდან ნავთის გატანა შეჩერდა.

კავკასიის შავის-ქვის ადგილს უცხოეთის ბაზარზე თან და-თან ინდოეთისა და ბრაზილიის შავიქვა იჭერს. თუ ბაზარი ერთხელვე დაგვეკარგა, ყველამ ვიცით, მერე რა ძნელია უკანვე დავიბრუნოთ. კავკასიის შავიქვის მრეწველობას მეტად შავი და მწარე დღეები აქვს კარზე მომდგარი. ყველა ამ საქმით დაინტერესებულ კავკასიელთა თვალები ამ ჟამად პეტერბურგისაკენაა მიპყრობილი. აქ უნდა გაიმართოს თათბირი შავის-ქვის შესახებ. ამ თათბირს დიდი საპასუხისმგებლო საქმე აქვს დავალებული. მას მოეთხოვება დიდი ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა ამ საქმის გადასაწყვეტად და განსაკუთრებით ყოველ-მხრივი ცოდნა მრეწველობის მდგომარეობისა. კავკასიის შავის-ქვის მრეწველობა უკანასკნელი დღეშია: მეტად დიდ მნიშვნელოვანი და საყურადღებო კითხვაა წამოყენებული გადასაწყვეტად!

**თ. ხახიკია.**

# ქართულ ენის დაკარგვის ამბავი

**შენიშვნა ბაგრელის წერილის გამო.**

„სახალხო გაზეთის“ 160 №-ში წავიკითხე წერილი ს. ბაგრელისა. ამისაგან გამოცხადებულ წიგნის შესახებ მე მოგახსენებთ შემდეგს:

ართვინის ოლქში, ქართულ ენაზე, დღემდე ქართველი მაჰმადიანები ლაპარაკობენ ორს ნაწილში, მაგალითად: იმერხევსა და მურღულის ხეობაში. მესამე ნაწილში კი, ესე იგი მთელს შავშეთში, დაკარგულია ქართული ენა და ქართველი მაჰმადიანები ოსმალურად ლაპარაკობენ.

ასევე დაიკარგა ძირიან-ფესვიანად ქართული ენა მთელს არტაანის (არდაგანი) ოლქში. იმ ოლქში, სადაც ბანის კათედრა იყო და რომლის ნაშთენს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

დაიკარგა მთელს ყარსის ოლქში, რომლის ნაწილსაც შეადგენს თვით ფოცხოვი, ახალციხის საზღვრიდან, თვით ფოცხოვს და ქვაბლიონს, ამ ჩვენთან ახლო მდებარე სოფლებშიაც კი დაემხო ქართული ენა და ყველა ისინი ოსმალურად ლაპარაკობენ.

დაიკარგა მთელს ოლთისის ოლქში, ალაგ-ალაგას კი, ცოტ-ცოტას მოხუცნი საუბრობენ, მათაც მალე დაავიწყდებათ.

დაიკარგა მთლად ქართული ენა თორთომისაკენ, სადაც მდებარეობს განსაცვიფრებელი ეშხის კათედრა.

დაიკარგა ლაზისტანის ბევრს ადგილას, რომელნიც აკრავენ თვით უახლოეს ლიგანის ხეობას, ჰოროხისა, ხახულისა და ვინ იცის, რამდენი კიდევ სად გინდა არა, რომელთა ცნობა ჩვენ არა გვაქვს და იგინი არც ჩვენს ისტორიას ახსოვს, მაგალითად, როგორც არჯავანიძიანთ ხეობაში, სადაც დღემდე ქართველ მაჰმადიანთ ქართული ენა აქვთ შენახული, მირატის ხეობა, უფრო აქეთ მდებარე და სხვანი, რომელთაც არც ჩვენი მთაგორების რუქები (ქარტა) აჩუსხავენ და არც ოსმალთა...

უნდა ვიცოდეთ, რომ მთელი ეს კუთხე შესდგებოდა ცამეტის საეპისკოპოსო კათედრისაგან. ამ ცამეტ საეპისკოპოსოს მრევლნიც სულ ქართველნი იყვნენ, ქართულს ენაზე მოლაპარაკენი. დღეს ამოდენა რიცხვიდან დაკარგული აქვს ქართული ენა რვა საეპისკოპოსოს სამრევლო ქართველობას.

ვიცით ბევრმა თუ არა, ცოტამ მაინც, რომ მე მივლია აქეთკენ დიდხანს. მინახავს აქაური ქართველნი და მიკითხავს ოსმალურად.

ნა მილეთი ადამ სან? (რა ტომის კაცი ხარ).

— მან — გურჯი

სზნ ბაბასი ნარასი ნა ადამდი? (შენი მამა პაპა რა ტომის იყვნენ) მას მოუგია:

— გურჯი. (ქართველი).

სზნ მემლექეთი ქიმსინდრ, ოსმანი, იოხსა გურჯისტანი? (თქვენი სოფელი ოსმალის არის თუ საქართველოსი) მათ მოუგიათ:

— გურჯისტანი (საქართველოსი).

ბას ნია გურჯიჯა, — სზნ დილბანდი ბილმირსან? (მაშ რატომ ქართული, თქვენი ენა კი არ იცით) ის გაჩერებულა და გაშტერებით უთქვამს:

— ბილმადი (არ ვიცითო)

ეს სიტყვები ერთ ალაგას არ უთქვამთ ჩემთვის და ორ ალაგას; არამედ მრავალთ და მრავალ ალაგას. შავშეთში, ერთ სოფელში, ერთმა ასეთმა ენა დაკარგულ ქართველმა თავის გვარიც კი ქართული სქვათ ეს გორდაზეთ ძე — ვერ გამოთქვა თავისუფლად.

ასეთ ხალხში მქონია ლაპარაკი, რომ იყოს ისეთი ოსმალურ ქართული წიგნი, იქიდამ თქვენ ინდომებთ ქართული ენის სწავლას. მათ დიდი სიამოვნება გამოუთქვამთ. ასეთი ნატვრა მე თვით მათის ხოჯებისა და მოლლებისაგან ხშირად გამიგონია. ეს ნამდვილია.

ასეთ დაკარგულ ქართველთათვის, ზემოხსენებული წიგნი იქნება დიდი საქმე, დიდი სინათლის შუქი. იგი ქართველ მაჰმადიანებში უეჭველად შეამუშავებს და თან მარტივადაც გავრცელდება ეს ენა, ვინაიდგან მათ ჯერაც არა აქვთ დავიწყებული ის გარდმოცემა, რომ მათი სამშობლო საქართველოა, იგინიც ქართველთ შთამომავალნი არიან და მათი დედა ენაც ქართული ენა არის.

განვიმეორებ, რომ ასეთ ქართველთათვის, ს. ბაგრელის წიგნი უაღრეს მალამოდ ჩაითვლება, იგი გახდება ქართული ენის აღდგენის და შესწავლის გასაღებად მთელს იმედად მეტის თქმა არის საჭიროების შესახებ საჭირო არ არის, წიგნს დაბეჭდვა უნდა. თვით ს. ბაგრელიც კარგად მცოდნეა ოსმალური და ქართული ენის და ქართველ მაჰმადიანებში 30 წელი იცხოვრა, რომელთა შესახებ ყველგან ბევრი წერილები აქვს ქართულს გაზეთებში დაბეჭდილი 1877 წლიდამ 1885 წლამდე.

**ზ. ჭ.**

# მოწერილი ამბავი

**დაბა-ყვირილა.** (ზესტაფონი). აქაური ინტელიგენცია დიდს მცონარობას და დაუდევრობას განიცდის. ნარდისა და ბანქოს თამაშში ატარებს თავის წუთისოფელს და საზოგადო მოღვაწეობა ზირადაც არ მიაჩნია. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ყვირილის განყოფილება დიდს მეუპათიობას იჩენს: ყოველ ღონისძიებას ხმარობს განყოფილების გასაძლიერებლად და ცოტად თუ ბევრად საზოგადოების ყურადღებასაც იქცევს. მაგრამ ერთი რამ უნდა უსაყვედუროთ განყოფილების მესვეურთ: რა საჭიროა რუსული გაზეთები, რომელთაც მკითხველი საზოგადოება სრულიად არ ჰყავს. უკეთესი არ იქნებოდა მათ მაგიერ ქართული ჟურნალ-გაზეთები გამოეწერათ? ამ განყოფილების მიზანს შეადგენს ქართული წერა-კითხვის გავრცელება ქართველებში და განა რუსულად დაწერილი ქართული გაზეთები უშველის ამ საქმეს?

დაბა ყვირილაში არ არსებობს ტაძარი ხელოვნების, მის მაგივრობას „კლუბი“ ეწევა; არ არის „ტრამვაი“. ქუჩები მოუკირწყლავია და ცუდი ამინდის დროს ადამიანს კარედ არ გამოუსვლება. დაბა გაუნათებელია. იმედია, ყვირილის ინტელიგენცია გამოფხიზლდება, ამ გზას დაადგება და უპირველეს ყოვლისა დაბა ყვირილას სამაზრო ქალაქად გადააქცევს.

**კ. ლიხიანთხეველი**

—

**სოფ. მეტეხი** (გორის მაზრა). ერთად ერთი სიამაყე ამ სოფლისა, რომელიც კი დღემდე შერჩენია მას — არის მისი დიდებული ტაძარი ვახტანგ მეფის დროისა, თლილის ქვით ნაშენი და მრავალ სახოვან ჩუქურთმებით შემკული. ეს მეხუთე საუკუნის მუნჯი ეტყვება საქართველოს ისტორიის ფურცლიდან წარმოადგენს აგრეთვე იშვიათ ნიმუშს თავის გუმბათის სიმაღლე მოყვანილობით ქართულ საეკლესიო ხუროთ-მოძღვრებისას. მაგრამ დროთა ბრუნვისა გამო ბუნების სტიქიონთ მძლავრად აღუნიშნავს თავისი გავლენა და ეს საუცხოო გუმბათი დამის ძირს დაეცეს და გაიშალოს. ამ 5—6 წლის წინად გუმბათის ქოჩორი თავისი ჯვრით ქარმა ჩამოაგდო და წვიმას თავისუფალი გზა მისცა; აგრეთვე არც ერთი ხის ფანჯარა აღარ არის მთელი და შიგ ბუდობენ მტრედები, რომელთ უსუფთაობა ჩამოდის ამბიონის წინაშერთა. არც კალთების სახურავია ხეირში: ზოგან სულ აჭრია, ზოგან მიდრეკ-მოდრეკია და წვიმა ჩამოსდის შიგ ეკლესიაში. ამ ეკლესიასთან არსებობს შემკეთებელი კომიტეტი ეპისკოპოს კირიონისა და გორის თავადაზნაურთა წინამძღოლის (აწ განსვენებულის) დ. ი. სულხანიშვილის [illegible] დაარსებული. მას შემდეგ ადარაფერი გაკეთებულა თვით ტაძრისთვის. დღესაც არსებობს ეს კომიტეტი და იცით, რას აკეთებს? — კრებულისათვის სახლს, გალავანს და სამრეკლოს... ამაზეა ნათქვამი; უხეირო დოსტაქარი თავკაწხიდს ფეხებიდან სწამლობდაო.

პატივცემულო კომიტეტო! ჯერ თვით ტაძარი შეაკეთეთ, თორემ თუ იგი დაეცა, ვეღარც მილიონები აღადგენენ მას და მთელი 1500 წლის უტყვ მოწამესაც დავკარგავთ ჩვენის დაუდევრობით.

14 ამ თვეს სასოფლოზე მოხდა არჩევა მღვდლის კანდიდატისა, მოკლულ მღ. ბაიდოშვილის მაგივრად, მაგრამ ისეთი პირნი წამოაყენეს, რომ მათ ხელში სოფელი ჯერ კიდევაც დიდ-ხანს იქნება სატანჯველში...

მღვ. ბაიდოშვილის მკვლელად დაასახელეს, სხვათა შორის, სტუდენტი გიორგი იგ. ბარნაბიშვილი, მაგრამ მკვლელობის დღესვე აცნობა პოლიციას უნივერსიტეტის რექტორმა, რომ ბარნაბიშვილები ორი თვეა განუყრელად არის აქაო.

**იქაური.**

—

**სოფ. ეწერ-ბაში** (ქუთ. მაზრა) ჩვენი სოფელი სადგურ კოპიტნარის მახლობლად მდებარეობს და ფარცხანაყანების სოფლის საზოგადოებას ეკუთვნის. სულ ოთხმოცი კომლი მცხოვრებია. არ მოიპოვება, არც ერთი კულტურული დაწესებულება, არც ექიმი გვყავს, და, არც ფერშალი და საჭიროების დროს საყდია და დიდი-ჯიხაიშში გვიხდება სიარული ათი ვერსტის მანძილზე. ამისათვის ხუთჯერ მეტ ფასს, თხოულობენ რაც ღარიბთათვის მიუწვდომელია. არც აფთიაქი გვაქვს, რომ თავის დროზე მიაწოდონ ავადმყოფს წამალი. სკოლაც კი არ მოგვეპოვება და ოთხმოცამდე სასკოლო ასაკის ბავშვი ანბანის უცოდინარად გვრჩება.

რკინის გზის სადგურ კოპიტნარიდგან კარგი შარა გზა, რომელიც გაივლის სოფლებს: ეწერ-ბაშს, ბაშს და ხადის სახინომდე. სოფელ ბაშიდგან ეს გზა სახინომდე კარგადაა ნაკეთები მხოლოდ კოპიტნარიდან სოფელ ეწერბაშამდე, ორი ვერსის მანძილზე, მიმოსვლა გასაჭირია, მთელი ზამთრობით და აგრეთვე ავდრის დროს დიდ გაჭირვებას განიცდიან სოფლები. გზაზედ ისეთი ტალახია, რომ ქვეითად მიმავალ კაცი მუხლამდის იკარგება ტალახში და ურმების ბორბლები ძლივს და მოსჩანან. დილიჟანებისა და სხვა ეტლების მიმოსვლა ხომ სრულიად შეუძლებელია. ფარცხანაყანების საზოგადოების მცხოვრებლები. რიცხვით 1000 კომლამდეა. 1908 წელს ზოგიერთ პირთა შეამდგომლობით დაიწყეს გზის შეკეთება, მაგრამ დადგა გაზაფხული, ხვნა-თესვა დაიწყო. გლეხებმა თავი მიანებეს მუშაობას, და თავიანთ საქმეს მიაშურეს. სოფლის მამასახლისი ამაზე სრულიად თავს არ იწუხებს.

ნუ თუ 1000 კომლს იმდენი მეთაურობა არა აქვს, რომ დღე მუდამ საჭირო სასოფლო გზა შეაკეთებინოს?!

**აქაური.**

—

**სოფ. მამკოდა.** (ტფილ. მაზრა) ჩვენი სოფელი მედუქნე-სამიკიტნოთა კერძოთაა გადაქცეული. სამი სამიკიტნო გვაშინებს და გვტანჯავს.

სოფლის ახალ-გაზდობა განსაკუთრებით, კვირა-უქმე დღეს სულ სამიკიტნოში ატარებს დროს და არყის ხმით გაბრუებული უკანასკნელ გროშებს მიუთვლიან.

ამ თვის 21 სიმთვრალის დროს, დ. როსტიაშვილის დუქანში ჩხუბის დროს ოსებ სუხიაშვილი კეტით მოჰკლეს ნიკა ბერძენმა და გაიოზ კბილაშვილმა.

**დამსწრე მგზავრი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრის სეზონის მეორე თვე.** 26 ნოემბერს მეორე თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც ქართულ თეატრის სეზონი დაიწყო. მეორე თვეში გაიმართა 10 წარმოდგენა და ორიც სალიტერატურო-სამხატვრო საღამო. წარმოდგენილი იქმნა ათი პიესა, ამათში სამი ახალი, ისეთი, რომელიც ჯერ ტფილისში ქართულად

---

ქანა არ დაიძვრის, ისე პოეტის შემოქმედება ღუნეა. თუ იგი ამ სიყვარულმა არ აამოძრავა, აღშფოთება არ შთაბერა მას.

დედა-ენა, მისი სიტყვების აკინძვა, მისი მიმოხვრა ერთნაირი ამამოძრავებელი ძალაა, ზე-შთაბერვა. პოეტის აღმაფრთოვანებელი მუსიკა მისთვის ძალ-ღონის მიმცემი თვით წერის დროს, მეორე მუზაა. თუ პირველი მარცხნივ უდგა და აზრს უკარნახებს, მეორე მარჯვენას უმშვენებს და ნაწარმოების ფორმას აძლევს.

წინ და წინვე განსაზღვრა ფორმის ნამდვილი პოეტისათვის ყოვლად შეუძლებელია, ფორმა უნდა მოჰყვეს თვით ნაგრძნობს და ნააზრევს. ნამდვილად ნაგრძნობ საგანს და ნაწარმოებს თან მოჰყვება ფორმა, როცა კი მწერალი კალამს ხელს მოჰკიდებს და ფორმას წინასწარ პლანის შედგენას, ძალადობას, ძალდატანებას თვით შეუდგება ნაწარმოების სისუსტის მომასწავებელია.

მკითხველი მხოლოდ მაშინ წამოიძახებს პოეტის ნაწარმოებზე: „რა კარგია, რა მშვენიერებაო“, როცა სურათი, რომელიც მან დახატა ისეთს სულიერს ტკივილებს აგრძნობინებდა მწერალი, როგორც ფიზიკური ტკივილი გულისა, თავისა, მთელის სხეულისა; ეს კი მოხდება მაშინ, როცა გულში მოხარშული სურათი ჩუმად მუჯლუგუნებსა სცემს პოეტს.

„ჩქარა ქაღალდი და კალამი, დამხატე, გააცანი ჩემი თავი ადამიანთაო!“ სურათის ქმნა პოეტის გულგონებაში მშობელ ენაზე სწარმოებს, ჩუმად, ყრუად...

პოეტები თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიმართულებით, წერის საგანთა შერჩევით, ბევრშიაც ჰგვანან ერთი-მეორეს: უყვართ სილამაზე, რომელსაც უსათუოდ ქალის სახით წარმოადგენენ, — ბუნება, გმირობა, თავ-დადება, ხასიათის სიმტკიცე; საზოგადოდ ალტრუისტული მისწრაფებანი და სძულს ძალმომრეობა ადამიანისა ადამიანის მიერ დაჩაგვრა, მონობა და ზნეობრივად დაცემა, საერთოდ.

ვინ არის ნიჭიერი მწერალი?

ვისაც დიდად უყვარს ადამიანი, დიდად მოწადინებულია გააბედნიეროს იგი, ვისაც დიდად უყვარს ცხოვრება და ეძიებს მისი გაუკეთესება. ამისთვის საჭიროა დიდი გრძნობა, დიდი ცოდნა ადამიანის სულისა და მის ცხოვრებისა.

იგია ნიჭიერი მწერალი, ვინც რასაც თავადა ჰგრძნობს და ფიქრობს, აქვს უნარი სხვასაც ისე აგრძნობინოს და აფიქრებინოს, — ვისშიაც ძლიერად სჩქეფს ეროვნული სისხლი, ვინაიდან ეს უმთავრესი ფესვია იმის შემოქმედებისა; ეს, როგორც ქართველი ერი ამბობს „ალალი რძეა დედისა“ და, ნუ ჰგონია ვისმე, — უამისოდ ნაყოფი გამოიღოს მისმა ნიჭმა.

ვინ არის ნიჭიერი მწერალი?

ვის ნაწარმოებაც, რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, მით კიდევ მალას გიღვიძებს ახლად წაკითხვისას. მაშასადამე ნაწარმოებში უნდა იყოს ჩაქსოვილი უკვდავი ჭეშმარიტება, სამარადისო მშვენიერება...

ვინ არის ნიჭიერი მწერალი?

ვისი სიცილიც ნამდვილი ბუნებრივი, მართალი სიცილია და ვისი ტირილიც, ცრემლი ნამდვილი ცრემლია და არა რაღაც წყალ-წყალა სითხე, — ვისაც, როცა უკანასკნელი წამი დაჰკრავს და სამარეში ჩაუშვება მწერლის გვამი, ჩანგი თან ლოცვა-კურთხევას ჩააყოლებს და არა სამდურავსაც:

ყალბი იყავ და ყალბად მოჰღერებდიო!

**ვაჟა-ფშაველა.**

არ წარმოუდგენიათ და შვიდიც უკვე წარმოდგენილი ამ შვიდიდან სეზონის პირველ თვეში მხოლოდ ერთი იყო წარმოდგენილი, დანარჩენი ექვსი წელს ქართულად არ წარმოუდგენიათ. გარდა ამისა, წარმოდგენილი იყო ერთ-მოქმედებიანი დრამა ბრაკოსი, პირველად ქართულ სცენაზე, „ნიღაბი“ და ვოდევილის ნაცვლად ერთი მოქმედება ა. ცაგარლის „მათიკოდან“.

ამ ათ პიესაში ორიგინალური იყო მხოლოდ ერთი: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, ვ. ყიფიანისა.

ნათარგმნი პიესები იყო 9: „მშობლიურ ჭერ-ქვეშ“—ზუდერმანისა, „ივანობის ღამე“—მისივე. „მირრა ეფროს“—გორდინისა, „სატანა“—მისივე. „მეუფება წყვდიადისა“—ლ. ტოლსტოისა. „ედმონდ კინი“—ა. დიუმასი. „იმედის დაღუპვა“—ჰაერმანსისა. „ღალატი“—სუმბათაშვილისა და „ექვით ავადმყოფი“—მოლიერისა.

ათ წარმოდგენიდან ექვს რეჟისორობდა ვლ. ალ.-მესხიშვილი („მთავარი ლევან“, „მირრა ეფროს“, „სატანა“, „მეუფება წყვდიადისა“, „ედმონდ კინი“ და „ღალატი“). ორს—ვ. შალიკაშვილი („ივანობის ღამე“ და „იმედის დაღუპვა“) და თითო-თითოს ვ. გუნია („მშობლიურ ჭერ-ქვეშ“) და ვ. აბაშიძე („ექვით ავადმყოფი“).

დასიდან გავიდნენ ტ. აბაშიძე და მ. ქილარჯიშვილი, ეს უკანასკნელი ავადმყოფობისა გამო.

მეორე თვის განმავლობაში სავასტროლოდ მოწვეულნი იყვნენ ნ. ჩხეიძე—სამჯერ („ივანობის ღამე“, „მშობლიურ ჭერ-ქვეშ“ და „ღალატი“) და გ. გიდევანოვი—ერთხელ („მირრა ეფროს“).

მსახიობთაგან მეორე თვეში ყველაზედ უფრო ძვირად შეხვდათ თამაში ქ-ნი პიერეტას და ვ. აბაშიძეს და კ. მესხს.

ვლ. ალ.-მესხიშვილმა მონაწილეობა მიიღო ხუთ წარმოდგენაში („მთავარი ლევან“, „მირრა ეფროსს“, „სატანა“, „კინი“ და „ღალატი“.

# უცხოეთი

**მექსიკის მდგომარეობა.**

ამას წინად დეპეშებით მთელს ქვეყნიერებას ემცნო, მექსიკაში მშვიდობიანობა ჩამოვარდა და იქ დაწყებული მღელვარება და აჯანყება უმნიშვნელო იყოო. რამდენად უმნიშვნელო იყო ეს მდგომარეობა, სჩანს, თუ გინდ იქიდანაც, რომ შეამბოხეთ შესძლეს ყველგან რკინის გზის ლიანდაგის აყრა. მართალია, დღესაც გაბედულად გაიძახის მთავრობა, ამბოხება ჩავაქრეთო, მაგრამ ნამდვილად ასე არ არის, რადგან მექსიკის უკანასკნელ ამბებს მეტად ღრმა და რთული მიზეზები აქვს. საქმე შემდეგშია:

პრეზიდენტ დიაცის მმართველობით დიდი ხანია ხალხი უკმაყოფილო იყო, თუმცა ამერიკისა და ევროპის პრესა, რომელიც მსხვილ კაპიტალისტების ხელშია, მუდამ ქებას ასხავდა პრეზიდენტს დიაცსა, რადგან უკანასკნელი მედგარი დამცველია ამერიკისა და ევროპის ბანკირებისა და საშუალებას აძლევს უცხო კონცესიონერებს მილიონობით ქონება შეიძინონ. დიაცს აქებდნენ, როგორც „ძლიერს კაცს, რომელმაც ხანგრძლივი მშვიდობიანობა და აყვავება მიანიჭა ქვეყანას“. ქების შემსხმელნი არას ამბობდნენ მხოლოდ იმაზე, თუ რა ზომებით შესძლო პრეზიდენტმა მოესვენარ მექსიკის „დამშვიდება“, ან რა გავლენა ჰქონდა ამ „აყვავებას“ მუშებსა და მიწის მშრომელებზე. მექსიკელნი კი იმ აზრისა არიან, რომ დიაცი სრულიადაც არ არის ისეთი „მხნე პატრიოტი და სახელმწიფო მოღვაწე“, როგორადაც მას სახავენ ამერიკისა და ევროპის მოსყიდული კალმები.

მან გადააქცია თავისუფალი რესპუბლიკა ავტოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელსაც ის დამოუკიდებლად განაგებს ერთ მუჭა მოსხრეთა ცახმარებით და მათთან ერთად მრავალ წელს უსირცხვილოდ სძარცვავს ქვეყანას მექსიკელ ლტოლვილთა სიტყვით, 6 მილიონი ინდოელი დიაცის მრისხანებას ძლივს დაემალა ინგლისში. პრესის დამოუკიდებლობა მექსიკაში ხომ სულ არ არსებობს, რადგან გაბედულ რედაქტორებს პრეზიდენტი ციხეში აპატიმრებს, სადაც მრავალი ხალხია დატყვევებული მხოლოდ იმიტომ, რომ გაბედეს ოპოზიცია შეედგინათ ყოვლად ძლიერ დიქტატორის წინააღმდეგ. მექსიკის რევოლუციური ელემენტი შესდგება მუშათაგან, ლიბერალურ პროფესიათა წევრებისა და პლანტაციებზე მომუშავე ინდოელთაგან. პრეზიდენტის „თვით-მპყრობელობა“ დამკვიდრებულია მოხელეებზე, რომელნიც მექსიკას სძარცვავდნენ, და მხედრობაზე. მეტი არ იქმნება აღვნიშნოთ, რომ ჯარს აგროვებს მცხოვრებთა ნაძირალებისაგან, ხოლო ჟანდარმერია შესდგება ყაჩაღთა ბრბოებისგან. ჟანდარმერიას ფული ბლომად ეძლევა და შეუძლიან ისე მოიქცეს, როგორც მოესურვება, რადგან მის ბოროტ-მოქმედებას პრეზიდენტი ხელს აფარებს.

ინგლისელ ლიბერალთა ერთი გაზეთი ამბობს: „არჩევნები მექსიკაში კარგა ხანია მხოლოდ ფარსად გადაიქცა. თუ რამდენად ფეხი აქვს გადგმული მტარვალობას მექსიკაში, სჩანს იქიდან, პოლიტიკურ პატიმართ ციხეებში საშინლად აწვალებენ; სიკვდილით დასჯა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა მექსიკაში. მთავრობა საჭიროდ არც კი სთვლის, პოლიტიკური დამნაშავენი ფორმალურად მაინც გაასამართლოს სამხედრო სასამართლომ.

შეიძლება, მექსიკის დიქტატორმა ამ ჟამადაც მოახერხოს აჯანყების ჩაქრობა, მაგრამ ცხადია, ხალხი საბოლოოდ ამ ყოფაში ვერ დარჩება და ახლო მომავალში მოსალოდნელია, მექსიკა ნამდვილ რესპუბლიკად გადაიქცეს.

**მაღაროს მუშათა გაფიცვა გერმანიაში.**

რამდენისამე დღის წინად დორტმუნდის მახლობლად მაღაროს მუშები გაიფიცნენ. გაზეთების სიტყვით, ეს გაფიცვა უმნიშვნელოდ არ ჩაივლის და ჩქარა ერთ დიდ გაფიცვად გადაიქცევა. გაფიცვა მაღაროს მუშებს რომ არ მოეხდინათ, და მხოლოდ გაფიცულიყვნენ სხვა დარგის მუშები, მაშინ, დანამდვილებით ვიტყვით, მას გერმანიაში ყურადღებას არავინ მიაქცევდა გარდა ახლო დაინტერესებულ პირებისა. საქმე იმაშია, რომ გერმანიის მაღაროს მუშებში, რომელნიც ნახევარ მილიონს უდრის, ისე დიდი ერთსულოვნობა სუფევს რომ საკმარისია სადმე რამდენიმე მუშა გაიფიცოს, რომ იგი მაღაროს მუშათა საერთო გაფიცვად გადაიქცეს. გავიხსენოთ 1905 წ. გაფიცვა, რომელსაც 2,000 მუშა მიემხრო, რომ თვალ-წინ დაგვიდგეს საშიში შედეგი მაღაროს მუშათა გაფიცვისა.

გაფიცულთ მხარს უჭერენ დიდი ორგანიზაციები. მოთხოვნილება ასეთია: მომატება სამუშაო ფასისა ამ მოთხოვნას ასაბუთებენ ცხოვრების გაძვირებით და შემდეგ იმით, რომ მაღაროს მეპატრონეებმა სამუშაო ხელფასი ბოლო წლებში თანდათან დასცეს. მუშები თხოულობენ ფასს აგრეთვე იმ წინასწარ მუშაობისას, რომელიც საჭიროა მუშათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავ პირობათა შესამზადებლად. მესამე მოთხოვნილება: გაუქმება მეპატრონეთა მიერ დაარსებულ სამაშუალო კანტორებისა და მის მაგივრად დაარსება ისეთ დაწესებულებისა, რომელშიაც შევლენ მუშათა წარმომადგენელნიც. მუშების სიტყვით, კანტორები დღეს დიდს ბოროტმოქმედებას სჩადიან, მაგალითად, ეს კანტორები გვერდს უქცევენ პოლიტიკურ მოსაზრებით მათთვის არა სასურველ მუშებს, რომელნიც მუშათა მოძრაობაში დიდს როლს თამაშობენო.

ეს მოთხოვნილებანი წარდგენილ იქმნა სოციალ-დემოკრატ, პოლონელ და ლიბერალ მუშათა კავშირების სახელით. მონაწილეობას არ იღებს მხოლოდ მაღაროს ქრისტიან მუშათა კავშირი, რომელშიაც შედის მხოლოდ 25 პროც. მთელის მუშებისა.

მაღაროს მეპატრონენი ჯერ არ აპირებენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ამიტომ საქმის გამწვავება დღე-დღეზე მოსალოდნელია.

# რუსეთი

**ფრენა.**

სააღდგომოდ პეტერბურგში გაიმართება სრულიად რუსეთის მფრენავთა საზოგადოებათა და ჯგუფთა წარმომადგენლების კრება.

**სლავიანთა კრება.**

სლავიანთა კრება მომავალ წელს მოსკოვში გაიმართება.

**ვექილი ქალი.**

ოდესის ნაფიც ვექილთა საბჭომ ვექილის თანაშემწედ ჩარიცხა ქ-ნი იაროშევსკაია, რომელმაც სახელმწიფო ეგზამენი დაიჭირა.

**ოქტომბრისტების განცხადება.**

ოქტომბრისტთა ფრაქციამ სახელმწიფო სათათბიროში განცხადება შეიტანა, რომლითაც თხოულობს სათათბიროში დაუყოვნებლივ განხილულ იქმნეს კანონ პროექტი მუშათა შესახებ. ეს განცხადება იმას გამოუწვევია, რომ ა. ი. გუჩკოვისთვის მოუგონებიათ: სახელმწიფო სათათბირო ჯერაც არ შესდგომია ამ კანონპროექტის განხილვას იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ 1905 წელს უმაღლესად იყო ნაბრძანები ყურადღება მიქცეოდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებასო.

**ბერმონაზონი ილიოდორი.**

ცნობილმა შავ-რაზმელმა ილიოდორმა ამას წინად ქადაგების დროს უშვერის სიტყვით გალანძღა ერთის ვაჭრის ცოლი. სასამართლომ ილიოდორი 50 მან. დაა-ჯარიმა.

**რკინის გზა ინდოეთის საზღვრამდე.**

პეტერბურგის უმაღლესს დაწესებულებებში ამ ჟამად ადგენენ იმ რკინის გზის ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც გაყვანილ იქნება რუსეთის საზღვრიდან (ასტარიდან) ინდოეთამდინ (ბელუჯისტანის მხრით). სიგრძე ლიანდაგისა იქნება 2000 ვერსტზე მეტი. რკინის გზა სპარსეთის მთიან და ოღრო-ჩოღროიან ულელ-ტეხილიან მიდამოებში გაიარეს და ამიტომ საალშენებლო მხრით დიდს ინტერესს წარმოადგენს.

# განცხადებანი


**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი**: 1½—2 ს. შინაგ და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი**: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. გ. გევესკაია-ენგელი**: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**სხვა და სხვა წამლების საწყობი**

**ი. ახოზამისა**

გადავიდა ახალ ბინაზე, მუხრანის ქ. № 8 საწყობში ისყიდება: „სპერმატინი“ კბილის წამალი **ალმეზა**, **კრემ ნოლლი**, რომელიც არბილებს ხელებსა და სახეს. აგრეთვე **ციებ ცხელების** წამალი.

წიგნაკები უფასოდ.
წამლები იგზავნება ფას დაკლებითაც.
(10—237—2)

**გამოცდილი მასწავლებელი**

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც—პ ა ნ ს ი ო ნ შ ი, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. სად. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзал а). (т—152—28)

◀ **მშობიარეთათვის** ▶

**თავშესაფარი**
**ბებია-ქალის**
**თუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—723)

**გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში**



გამოცემა **მიხეილ ნემსაძისა**
ფასი 10 კაპეიკი,
**ადრესი:**
ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა
ტელეფ. № 372.

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

**„ნაკადული“**

(წლიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელისმომწერლებს:

**24** **წიგნი მცირე წლოვანთათ.** **12** **წიგნი მოზრდილთათვის.**

გარდა ამისა მიეცემა პრემიად 1. მარლეის აჩრდილი,—ჩარლზ დეკანსის მოთხრობა. მოთხრობაში იქნება ჩართული სურათები. 2. ქართული მხატვრული ალბომი კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა**: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 4 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 2 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „**ნაკადულის**“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

**მოსავალი**

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

**ვ. ყიფიანის დრამა**

**სამეგრელოს მთავარ ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**ხელსაყრელი ფასიანი ქაღალდები**

შემოსავლიანი დიდის მოგებითა და უფასო დაზღვევით 5 წლის განმავლობაში, ცნობები უფასოდ იგზავნება.

ფასიან ქაღალდების სავაჭრო ამხ.

● **ბერნარისა** და კ ო, ●

**(პარიზი),**

სევასტოპოლის ბულვარი 30—1. მიწერა და მიმართვა შეიძლება რუსულად საზღვარ-გარედ გასაგზავნ წერილების მარკის ფასი ღირს 4 კ., დაზღვეულისა 10 კაპ

Метцль и К-о 89747. (234 5—1)

**მომგებიან ბილეთების გაყიდვა**
**სახელმწიფო სესხით**

ნაწილ-ნაწილ განაღდებით ვადით უზეოდ. ბილეთის მთელი ფასი ნაღდდება ყოველ თვიურის 6 მან. შეტანით.

1-ლ შეტანის შემდეგ მყიდველი მონაწილეა მოგებათა მახლობელ ტირაჟში პირველი შესატანი 6 მან. შეიძლება გამოიგზავნოს ფოსტის მარკებითაც.

საბანკო სახლი ВАРШАВА, БРАТСКАЯ 18. **ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.** სადეპეშო ადრესი: „Варшава Ландаубанкъ“

Метцль 89563. (5—235—3)

„**შორაპნის**“ ამხ გამოცემა
გამოვიდა გასასყიდად

I

**1911 წლის კედლის კალენდარი**

ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელებისათვის. კალენდარის უკანა გვერდზედ მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. ფასი კალენდრისა 40 კ.

II

**სახალხო კალენდარი 1911 წ.**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

კალენდარში ჩართულია მრავალი სურათები და ქარტა საქართველოსი. ფასი 20 კ. კალენდრები იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში და კავკასიის რკინის გზის შკაფებში.

ვასაც ჰსურს გაიყიდად გამოიწეროს, მან უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით Тифлисъ, Т-ва „Сорапанъ“. (18—244—2)

**სასტუმრო ნომრები**
**ტ ფ ი ლ ი ს შ ი**

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი **ძმ მ ი ლ ო ვ ე ბ ი ს ა № 1.** ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებულ ელექტრონით. ნომრები ორ-ოთხი ოთახებიანიც არის.

**ფ ა ს ი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე: თვიურებს დიეთმობათ.**

(30—181—15) პატრონი ნომრებისა **ს. მოსცელიძე.**

**თევზის მაღაზია**
**ს. ა. გუკასოვისა**

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ

**ტელეფონი № 395**



**ტელეფონი № 395**

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი **ზუთხი** და **თართი**, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.

**ფასები სინდისიერია.** პატივისცემით ს. ა. გუკასოვი. (40—33—26)

**ფოტოგრაფიული და საპირფარეშო მაღაზია**

**ო. სოტირიადისა**

გადავიდა კიროჩნი ქუჩაზე, კაზაკოვის სახლში, აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ, მადერის სასტუმროს გვერდით № 18. დიდძალი ფოტოგრაფიული ქაღალდები ყველა ქარხნების. ეს არის ახლა მივიღეთ აგრეთვე ფირფიტები „პობედისა“, კოდაკისა, გაუფფისა და ლიუმერისა. ორპირი ფირფიტები 8×8 ბუნდოვან ფარნებისთვის, აგრეთვე 9×12 და 4,5×10,7; დიდძალი ფოტოგრაფიული ბლანკები, პასპორტები და სხვ. საპირფარეშო და კოსმეტიკა რუსეთის და უცხოეთის საუკეთესო ფაბრიკებისა. ფასი შეუვაქრებლად. (3—248—2)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**
**ძმ. ძეგველოვების**
● **მ ა ღ ა ზ ი ა ს** ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**
**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).
**ხიზილალა**
ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**
**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. და წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. 60 კ გირ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—43)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

**გაფრთხილება**

რადგან **სპერმინი-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო“. ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელნიც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამით ჰბაძვენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეებად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერების და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიბერის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს „**სპერმინ-პელს**“ და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა. ფლაკონი** ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ Органотерапевтическiй институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.

(Метцль и К-о. № 88456). (8—23—5)